

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

სიმონია თორნიკე

სადაზღვევო ბიზნესის განვითარების პრობლემები და
პერსპექტივები საქართველოში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

/ნ. შონია /

ოფიციალური რეცენზენტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

//

ოფიციალური რეცენზენტი

ასოცირებული პროფესორი

//

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი:

სრული პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

Summary

The actuality of the research topic is discussed and substantiated in the introduction part of the thesis – “Problems and prospects of Insurance business development in Georgia”. The object of the study is explored. Methodological principles of the topic are being reviewed, the objectives of the study, practical importance and scientific news are presented in the thesis, fundamental issues of insurance are being discussed. General Guide has been developed, based on works of a variety of scientists and researchers, which shall be developed to interact with the elements of the national insurance market. Essential part of the work consists of chapters of various meaning, which are divided into sections dealing with each other.

The first part of thesis has theoretical significance. We are talking about the essence and functions of insurance, its economic role and importance. While forming the general financial system, the historical review of national insurance market development, from formation of insurance business till today, is highlighted. The historical development of Georgian insurance business is divided into stages and each part is discussed according its features. Actuarial role, functions and importance for proper functioning of the insurance business is discussed in the thesis. Problem Issues on the ground of reality of National market are identified and we are talking about their possible solutions. Underwriting stages and meaning for perfection of Insurance business are being explained and described. The essence, types and role of the insurance award, as fundamental element of insurance business, is clearly presented in the thesis. Insurance premium and rates relationship and calculation fundamentals are discussed, which is confirmed through mathematical modulating. Financial Highlights of insurance premium are discussed in terms of national insurance business. As a visual method, the data is presented in the form of a diagram. Insurance business regulation issues, essence, functions and importance are discussed in the first chapter. The stages and mechanism of Regulatory Processes are discussed, which leads to well functioning insurance business. The national insurance business, in terms of regulation, is discussed and is made small prelude for purpose of representation of the instruments, used in eradication of arising problems and reaching goals.

The second part of the thesis represents a kind of intermediary bridge, the ideological extension of the first part and it is the initial, preparatory stage in relation to the conclusion of the thesis. Features of the development of insurance business in Georgia is discussed in the second part. The insurance business, according to types of insurance is considered in the thesis. The presented types of

insurance are divided into subspecies, which eventually makes some kind of an uninterrupted chain, directed towards the insurer to the client. The first stage deals with personal insurance, as the most important element of national insurance business. It means health, life and accident insurance products, their essence and meaning is explained. It is considered according to subspecies. This part of thesis is based as on foreign experiences, according to the current terms of insurance products, also on the studies of practical species. Based on all mentioned, the national insurance business review is made, according to the existing products. National market trends are presented based on a variety of indicators and we are talking about reasons of the origin and development of these indicators. The state systems, having been existing since recent past to the present day and positive and negative influences, generated through the implementation of current social programs, in relation with National insurance business, are discussed in the thesis. The functions and values of Travel insurance are presented. We mean risk factors, borne during tourist travel and the importance of travel insurance is explained, in order to avoid or minimize a lot of undesirable occurrences, generated during traveling. Briefly discussed the compensation schemes of travel insurance and shown the place of this type of insurance in Georgian insurance business. As a visual method, the existing data is presented in the form of a diagram. Thesis continues with an examination of personal insurance, from moving to property insurance. The essence, types and importance of the property insurance is discussed. Emphasis is made on Car Insurance, as the developing and growing insurance product of national insurance business. Insurance premium rates and billing features of insurance of land vehicles are considered. The important elements of the issue are discussed. The existing indicators of vehicle insurance are discussed based on national insurance market. The necessity of vehicle insurance system development for general welfare of insurance business. The thesis presents the essence, type and importance of the agricultural insurance, a relatively new insurance product. The expected risks of agricultural insurance are presented and national insurance market, in terms of Insurance relevant species are considered in thesis. From property insurance, the thesis deals with Liability Insurance discussion. The small historic premise presents a sort of prologue of the essence, types and importance of current liability insurance. The thesis presents Liability insurance-related issues and highlights the place of the kind of insurance in Georgian insurance business. The last part of the second chapter concerns the insurance of financial risks. The nature and types of financial risks are extensively discussed in this thesis. We mean insurance against arising risks of credit, interest rate, foreign exchange and investment activities. Insurance models and proven

methods are considered, in term of risk minimization. The existing insurance type is made from national insurance business scope. For better understanding of the analysis, some features are indicated in the form of diagram.

The third part of the thesis presents the summary report of problems, generated while discussing the information of the first and second chapters. This chapter discusses Personal, Property and Liability insurance problems and shows the way to eliminate them. The first subsection of the third chapter presents the problems of financial risks insurance and combination of planned actions, necessary for perfection of current insurance system. Insurance supervision issues, the rights and obligations of regulatory body are considered. The foreign explorers set the combination of goals and instruments to achieve success. The appropriate mechanisms are discussed, which helps the state to regulate the properly functioning of insurance business.

The conclusion of the thesis is based on summary analysis of discussed issues. The final part discusses the research results and demonstrates the recommendations for insurance business development.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ქვეყნის საფინანსო ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე თანდათანობით გადასვლაში მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების სწორად მართვას. არსებული თემის შერჩევა განაპირობა სადაზღვევო ბიზნესის მზარდმა ტემპმა, ჯანდაცვის სისტემაში დაზღვევის მნიშვნელოვანმა როლმა და დაზღვევის სოციალური პოლიტიკის ელემენტად ქცევამ, რაც პერსპექტივაში შესაძლებელია ზოგადი კეთილდღობის ზრდის ინსტრუმენტად მოვიაზროთ. დაზღვევას, როგორც ფინანსების შემადგენელი კატეგორიის განუყოფელ ნაწილს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

სადისერტაციო ნაშრომში ნათლადაა გამოკვეთილი ის პრობლემები, რაც სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვება სადაზღვევო ბიზნესის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. განხილულია მთლიანი სადაზღვევო სისტემა, სახელმწიფო რეგულირებიდან დაწყებული ვიწრო სადაზღვევო პროდუქტებში გამოკვეთილი პრობლემებით დასრულებული და დასახულია ალტერნატიული გზები არსებული სადაზღვევო ბიზნესის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

დაზღვევას დიდი როლი და მნიშვნელობა გააჩნია საზოგადოებრივი კვლავწარმოებითი პროცესის განვითარებაში. დაზღვევის მნიშვნელობა გამოიხატება ე.წ. სადაზღვევო მომსახურების არსებობაში, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური სუბიექტების კვლავწარმოებითი პროცესის გაფართოებას. სადაზღვევო ურთიერთობებმა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა შეიძინა საბაზრო ურთიერთობის პირობებში, როდესაც იგი განვითარებული საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის სფეროში რისკის ხარისხის შემცირების ძირითად მეთოდად მოგვევლინა.

დაზღვევას, როგორც საფინანსო ურთიერთობების ქვესახეობას განსაკუთრებული როლი აკისრია ბიზნესის განვითარებაში და როგორც ეკონომიკური კატეგორია, ის წარმოადგენს ეკონომიკურ ურთიერთობათა

სისტემას, რომლითაც ხდება ფულადი ფონდების ფორმირება და მათი გამოყენება დანაკარგების ასანაზღაურებლად სხვადასხვა არახელსაყრელი შემთხვევების დადგომისას.

დაზღვევა გამოიყენება როგორც დამცავი საშუალება უამრავი სახის ფინანსურ ურთიერთობაში და ამავდროულად ის შეიძლება იყოს იმდენად მოქნილი, რომ ინდივიდუალურად მოერგოს ნებისმიერ იდნივიდს. მას აქვს შესაძლებლობა გახდეს როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირების ინტერესების დამცავი მექანიზმი მატერიალური თუ არამატერიალური ზარალის დადგომის შემთხვევაში.

ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისას და სახელმწიფოს მიერ ფინანსური პოლიტიკის გატარებისას წამოჭრილი პრობლემური საკითხების წარმოჩინებამ განაპირობა არსებული თემის შერჩევა და სადაზღვევო ბიზნესის კვლევის აუცილებლობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის შესწავლა საზღვარგარეთული გამოცდილებისა და სადაზღვევო ბიზნესში დაფიქსირებული მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით. მთავარ მიზანს წარმოადგენს ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემების განხილვა. ამოცანად დასახულია, ეროვნულ სადაზღვევო ბიზნესში არსებული პრობლემების გადაჭრის გზების და სადაზღვევო ბიზნესის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა წარმოჩინება.

კვლევის ობიექტი. თემის აქტუალობიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა საკვლევი საგანი, რომელმაც მოიცვა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი, მისი განვითარების მიმართულებები, არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, სადაზღვევო ბიზნესი თავისი შემადგენელი ელემენტებით, ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები და სადაზღვევო ბიზნესის როლი სახელმწიფოს მიერ შემუშავებულ სოციალურ პოლიტიკაში.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. ნაშრომის ძირითად შედეგს წარმოადგენს სადაზღვევო საქმიანობის ფორმირებისა და ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ანალიზის საფუძველზე, საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფის პერსპექტივების განსაზღვრა. კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - გამოკვლეულია სადაზღვევო ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები და მათზე დაყრდნობით განხილულია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ტენდენციები, განხილულია საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები, მოცემულია სხვადასხვა მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით დასახული მიზნების მისაღწევად შემუშავებული ინსტრუმენტები და განხილულია თითოეული მათგანი. დაწვრილებით არის შესწავლილი სადაზღვევო ბიზნესი სადაზღვევო სახეობების მიხედვით და ჩაშლილი ქვესახეობების გათვალისწინებით არის ახსნილი ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემატიკა, წარმოდგენილია არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ინდივიდუალური ხედვა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ ნამუშევრებს. იმისათვის, რომ მიღწეული ყოფილიყო მიზანი, რაც ნიშნავდა წარმოჩენილიყო სადაზღვევო ბიზნესში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, გვესაუბრა იმ ინსტრუმენტებზე რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნებოდა თავისუფალი, მოქნილი და მომხმარებელზე ორიენტირებული, ამავე დროს მოგების მაქსიმიზირებისაკენ მიმართული სადაზღვევო ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება, აუცილებელი წინაპირობა იყო სადაზღვევო საქმის, როგორც სამეცნიერო დარგის სრულყოფილი წარმოჩინება, რაც ქართველ თუ უცხოელ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებზე დაფუძნებით უნდა მომხდარიყო. აღნიშნულთან ერთად, ნაშრომის თეორიულ და

მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გამოკვლევები სადაზღვევო ბაზრის აქტუალურ პრობლემებზე, ეკონომიკური რეფორმების სამთავრობო კონცეფციები და პროგრამები, დაზღვევის სფეროში მიღებული საკანონმდებლო აქტები, სადაზღვევო ბიზნესთან დაკავშირებული მსოფლიო მეცნიერული მიღწევები და პრაქტიკული გამოცდილება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, მოცემულია, პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზები და ხაზგასმულია ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის გამართულად მართვის აუცილებლობა, ზოგადად ფინანსური სისტემის უკეთ ფუნქციონირებისათვის. ნაშრომის ძირითადი დებულებებით და დასკვნებით სარგებლობა შეუძლიათ დაზღვევის, ფინანსების, ბიზნესისა და ეკონომიკური სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლებს.

კვლევის შედეგების პუბლიკაციები. სადისერტაციო კვლევის პრობლემებთან მიმართებაში ავტორის მიერ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატია, ქართულ და უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში. ავტორს მიღებული აქვს მონაწილეობა ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაში, თემატიკით - „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო კვლევა შედგება 3 თავისა და 9 ქვეთავისაგან, რომელსაც წინ ერთვის შესავალი ნაწილი და სრულდება დასკვნით. ნაშრომის ბოლოში მოცემულია იმ ლიტერატურის ნუსხა, რომელიც გამოყენებული იყო თემაზე მუშაობისას.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალში გადმოცემულია საკვლევი თემის აქტუალურობა, წარმოჩენილია კვლევის ობიექტი, განხილულია კვლევის მიზნები და ამოცანები. მოკლედაა გადმოცემული ის მეცნიერული სიახლეები, რაც კვლევისას იქნა მიღებული. საუბარია კვლევის ძირითად შედეგებზე. შესავალ ნაწილში მოკლედაა გადმოცემული ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, საუბარია ავტორის მიერ განხორციელებულ პუბლიკაციებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ქართულ და უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში და რომელთა აგებაც კვლევის შედეგებზე დაფუძნებით განხორციელდა. განხილულია სადისერტაციო კვლევის სტრუქტურული სახე.


ლიტერატურის მიმოხილვაში განხილულია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნამუშევრები, რომლებმაც იკისრეს არსებული ნაშრომის თეორიული საწყისის როლი. განხილულ ლიტერატურაში ნათლადაა დასახული სადაზღვევო საქმის, როგორ მეცნიერული დისციპლინის არსობრივი მახასიათებლები. ავტორები, თავიანთ ნამუშევრებში ასახავენ სადაზღვევო საქმის საფუძვლებს და რიგ ძირეულ საკითხებს, რომლებზე დაყრდნობითაც, არსებული სადისერტაციო თემის სტრუქტურული აგება განხორციელდა.

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში განხილულია ძირეული თეორიული ასპექტები სადაზღვევო საქმის შესახებ. ახსნილია დაზღვევის, როგორც ბიზნესის განვითარების აუცილებელი წინაპირობის არსი და მნიშვნელობა. განხილულია, დაზღვევის თავისებურებები ეკონომიკური კატეგორიის სივრცეებში. ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია დაზღვევის ფუნქციები მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ დონეებზე.

სადაზღვევო საქმის არსის, მნიშვნელობისა და ფუნქციების განხილვის შემდეგ, მიმოვიხილავთ ანდერრაიტერისა და აქტუარის როლს სადაზღვევო ბიზნესში, საუბარია მათ არსსა და მნიშვნელობაზე.


წარმოჩენილია ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე ამ კუთხით არსებული პრობლემები და განხილულია რისკის მიღების ანდერრაიტერული ეტაპები.

შემდეგ ეტაპზე ხდება რისკ - მენეჯმენტის ისეთი ინსტრუმენტის განხილვა, როგორც ადეკვატური სადაზღვევო პრემიაა. ნაშრომში მიმოხილულია სადაზღვევო პრემიასთან დაკავშირებული საკითხები, განხილულია მისი არსი და მნიშვნელობა. საუბარია სადაზღვევო პრემიის დიფერენციაციაზე და წარმოდგენილია სადაზღვევო შენატანის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. განხილულია სადაზღვევო პრემიის შემადგენელი ელემენტები, რომლებიც შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:




ნაშრომში, განხილულია სადაზღვევო პრემიის, როგორც სადაზღვევო ბიზნესის უმნიშვნელოვანესი ელემენტის მათმატიკური მოდელირება და კონკრეტული მაგალითის მეშვეობით გადმოცემულია სადაზღვევო შენატანის და ტარიფის გაანგარიშების აქტუარული ფორმულები. საუბარია მოზიდული სადაზღვევო პრემიის მაჩვენებლებზე ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე და განხილულია არსებული სიდიდეების დინამიკა წლების განმავლობაში. თვალსაჩინოებისათვის ეს ყოველივე გადმოცემულია გრაფიკების მეშვეობით. მაგალითად, ეროვნულ ბაზარზე მთლიანი მოზიდული პრემიის მიხედვით შემდეგი მდგომარეობა იყო (იხ. ნახაზი N1.1):

სხვადასხვა წლების ბოლოს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების ჯამური სიდიდეები მლნ. ლარებში



წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური გადაზღვევის პრემიების მაჩვენებლები ბაზარზე სხვადასხვა წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა (იხ. ნახაზი N1.2):

სხვადასხვა წლების ბოლოს სადაზღვევო კომპანიების მიერ გადაზღვევის პრემიის ჯამური სიდიდეები მლნ. ლარებში



წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბაზარზე სადაზღვევო პრემიები თუ გადაზღვევის პრემიები სტატისტიკური მაჩვენებლების სახით იანგარიშება თითოეულ კომპანიაზე, ცალკეული სადაზღვევო სახეობების სახით, ხოლო ზემოთ აღნიშნულ გრაფიკებზე ნაჩვენებია მონაცემები დაჯამებული სახით, თითოეული წლის ბოლოს ნაჩვენები შედეგი ბაზარზე არსებული როგორც

სადაზღვევო სახეობების ასევე სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული გაერთიანებული ჯამური რაოდენობა.

პირველი თავის უკანასკნელი ქვეთავი წარმოადგენს ზედამხედველობის როლს სადაზღვევო საქმიანობის ფუნქციონირებაში, სადაც საუბარია სადაზღვევო ბიზნესის რეგულირების მიზნებზე, რომლებიც შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოვაცალიბოთ:

- სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის ხელშეწყობა
- სამართლიანობისა და პროდუქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- ბაზრის სტაბილურობის უზრუნველყოფა
- ნაციონალური სადაზღვევო კომპანიების მხარდაჭერა
- ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

განხილულია ეროვნული ბაზარი ზედამხედველობის კუთხით და საუბარია საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებსა და მოვალეობებზე. დადასტურებულია ზედამხედველობის როლი სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაში.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილულია სადაზღვევო ბიზნესი ცალკეული სახეობების მიხედვით. განხილვა იწყება პირადი დაზღვევიდან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს დაზღვევის დამოუკიდებელ დარგს, სადაც დაზღვევის ობიექტის რანგში გამოდის ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და შრომისუნარიანობა.

პირადი დაზღვევის თითოეული სახე განხილულია ცალ-ცალკე. ახსნილია სიცოცხლის დაზღვევის არსი და სახეები, საუბარია არსებული სადაზღვევო პროდუქტის მნიშვნელობაზე როგორც დაზღვეულისთვის, ისე მზღვეველისთვის. აქვე არის ასახული პირადი დაზღვევის ეროვნული სადაზღვევო ბაზრის კვლევის შედეგები, განხილულია, ბოლო წლის სტატისტიკური მონაცემები ჯანმრთელობის, სიცოცხლის და უბედური შემთხვევისგან დაზღვევის შესახებ, გაკეთებულია შედარებითი ანალიზი, რაც ნაშრომში ასახულია დიაგრამების სახით.

ამასთან, საუბარია იმ პრობლემებზე, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევის დაზღვევის წილის სიმცირე და გაყიდვების ნაკლებობა საერთო სადაზღვეო ბიზნესთან მიმართებაში.

პირადი დაზღვევის განხილვა ნაშრომში გრძელდება ჯანმრთელობის დაზღვევის განხილვით. საუბარია არსებული სადაზღვეო სახეობის წარმოშობის ზოგადი ისტორიულ საწყისებზე. განხილულია ჯანმრთელობის დაზღვევა ეროვნულ ბაზარზე. საერთო პრობლემატიკის ჩამოყალიბების მიზნით განხილვა მიმდინარეობს ისტორიული კუთხით და თან ერთვის არსებული პერიოდებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. საუბარია 2007 წლიდან წამოწყებულ სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამებზე, ახსნილია არსებული სოციალური პოლიტიკის მნიშვნელობა სადაზღვეო ბიზნესის განვითარებაში, განხილულია თითოეული სახელმწიფო პროგრამის გატარების საფუძვლები და ჯანდაცვის სისტემის თანაკვეთის წერტილების მნიშვნელობა სადაზღვეო სისტემასთან. მონაცემთა უმრავლესობა დამუშავებულია და უკეთ აღსაქმელად გადმოტანილია დიაგრამებზე.

პირადი დაზღვევის განხილვა სრულდება სამოგზაურო დაზღვევით. ახსნილია არსებული პროდუქტის მნიშვნელობა და აუცილებლობა ტურიზმთან მიმართებაში. საუბარია რისკ - ფაქტორებზე ტურისტული მოგზაურობისას, აღნიშნულია ის გასათვალისწინებელი ფაქტორები რაც შესაძლებელია აუცილებლობად იქცეს მოგზაურობისას. ახსნილია არსებული სადაზღვეო პროდუქტის ზოგადი არსი, განხილულია ანაზღაურების განხორციელების სქემები და სამოგზაურო დაზღვევის სახეობები. განხილულია სამოგზაურო დაზღვევის როლი და ადგილი ეროვნულ სადაზღვეო ბიზნესში. გაანალიზებულია სამოგზაურო დაზღვევის პოლისი და ახსნილია მასში შემავალი კომპონენტების რაობა. განხილულია ეროვნული სადაზღვეო ბაზარი სამოგზაურო დაზღვევასთან მიმართებაში სხვადასხვა მაჩვენებლების მიხედვით და არსებული მონაცემები გამოხატულია დიაგრამების სახით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავშივე არის ასახული ქონების დაზღვევის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები, კერძოდ - სტატისტიკური მაჩვენებლები მოზიდული საერთო პრემიისა და ანაზღაურებული ზარალის მიხედვით, რომლებიც გაანალიზებულია და დიაგრამულადაა გადმოცემული თვალსაჩინოების მიზნით. გარდა ამისა, საუბარია ავტოდაზღვევაზე, როგორც ქონების დაზღვევის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სახეობაზე ეროვნულ სადაზღვევო ბიზნესში.

ავტო დაზღვევა ანუ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ობიექტის დაზღვევას ისეთ რისკებზე, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიონ მისი დაზიანება (ხანძარი, აფეთქება, სხვადასხვა საგნების დაცემა, ავტოსაგზაო შემთხვევა) ასევე ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის შემთხვევებზე.

ავტო დაზღვევა განხილულია სამი სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით - CASCO, MTPL, MPA. აღწერილია მათი პრაქტიკული განხორციელების არსი. საუბარია მზღვეველის მიერ არანაზღაურებად მინიმუმზე და მის სახეებზე. წარმოდგენილია ის შემთხვევები, რომლის დროსაც ავტო დაზღვევა არ ანაზღაურებს დამდგარ ზარალს, გადმოცემულია ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე დაფიქსირებული მონაცემები არსებულ სადაზღვევო სახეობასთან მიმართებაში.

ქონების დაზღვევის ფარგლებში განხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზრისთვის შედარებით ახალი სადაზღვევო პროდუქტი - აგრო დაზღვევა, რომელიც წარმოადგენს უაღრესად სპეციალიზირებულ და კომპლექსურ ქვეკლასს. აღნიშნული მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურის და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანი ფერმერების დაცვა და მათი შემოსავლის სტაბილიზაციაა, რათა ფერმერების აქტივობები გრძელდებოდეს შეუწყვეტლივ, წლების განმავლობაში მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში თუ ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მოსავლის

დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსავალი ერთადერთია, რაც არსებული ფერმერის სამომავლო შემოსავალს წარმოადგენს და მოსავლის განადგურების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ფერმერები საკმაოდ მძლავრი ფინანსური საფრთხეების წინაშე დგებიან.

ნაშრომში განხილულია რისკები, რომელთაგან დასაცავად აუცილებელია აგროდაზღვევა. გადმოცემულია აგროდაზღვევის მართვისა და ადმინისტრირებისას საჭირო, გასავლელი საფეხურები. განხილულია ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე არსებული აგროდაზღვევის პროდუქტები და აგროდაზღვევის განვითარების ტენდენციები. საუბარია სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ პროგრამებზე, განხილულია არსებული პროგრამებში სადაზღვევო კომპანიების მნიშვნელობა და ის პრობლემები, რაც აგროდაზღვევის, როგორც სადაზღვევო პროდუქტის, რეაზლიზებას თან სდევს.

ქონების დაზღვევასთან დაკავშირებული სადაზღვევო ბიზნესის არსებული მონაცემები გადმოცემულია სხვადასხვა სახის დიაგრამებით, საიდანაც ჩანს, რომ ქონების დაზღვევის სახეობა უკვე მრავალი წელია სტაბილურად ინარჩუნებს ბაზრის ერთ-ერთი პოპულარული სახეობის სტატუსს, მიუხედავად იმისა რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობასთან კონკურენციაში ამ სახეობის პოპულარობა თვალშისაცემად დაბალია, ის სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოთხოვნი პროდუქტია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქონების დაზღვევა ეროვნული ბაზრისათვის მაინც რჩება შედარებით „ძვირ სიამოვნებად“, რომელიც მეტად სტაბილურ ეკონომიკას და უფრო მაღალშემოსავლიან მომხმარებელს საჭიროებს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ქონების დაზღვევის სახეობა მაქსიმალურად ინარჩუნებს გაყიდვადობას, მისი პოპულარიზაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობად შესაძლოა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება მოვიაზროთ.

ქონების დაზღვევის განხილვის შემდეგ ნაშრომში ასახულია პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგები. კერძოდ - სადაზღვევო პროდუქტის წარმოშობის და განვითარების ისტორია, პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი და როლი სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაში.

ნაშრომში გაანალიზებულია პასუხისმგებლობის დაზღვევის სხვადასხვა მონაცემები ეროვნულ სადაზღვევო ბაზარზე, კერძოდ, სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევის, მცურავ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის (გარდა ზემოთ აღნიშნული სახეობებისა) მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ფინანსური რისკების დაზღვევით სრულდება, სადაც საუბარია არსებული სადაზღვევო სახეობის წარმოშობასა და განვითარებაზე, ისტორიულ საწყისებზე და დღეისათვის არსებულ სადაზღვევო პროდუქტებზე. დეტალურად არის განხილული ფინანსური რისკების დაზღვევის კლასიფიკაცია - საკრედიტო, საპროცენტო, სავალუტო და საინვესტიციო რისკების დაზღვევა. მათზე მოქმედი ფაქტორები და ქართული რეალობა.

განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული საკრედიტო რისკების დაზღვევაზე, რადგანაც აღნიშნული უდიდეს როლს ასრულებს სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაში. კრედიტორის ინტერესების დაცვა დაზღვევისას მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ სესხის გადაუხდელობისას, რაც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს განპირობებული, ამ სესხის გადაფარვას თავის თავზე სადაზღვევო კომპანია იღებს.

საკრედიტო რისკის მინიმიზაციისათვის ქართულ რეალობაში ხშირია არა მარტო კრედიტის დაზღვევა, არამედ მსესხებლის ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა, რაც ერთის მხრივ, სადაზღვევო

ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს, ხოლო, მეორეს მხრივ, საკრედიტო პროდუქტის გაძვირებას.

საკრედიტო რისკის მსგავსად საპროცენტო რისკის დაქვეითების ძირითადი მეთოდები დაზღვევაა, რომელიც ემსახურება არამართო საიმედო დაცვას წარუმატებელი გადაწყვეტილებებისას, არამედ ამდღებს გადაწყვეტილებების მიმღები პირების პასუხისმგებლობას. აიძულებს რამათ, რეგულარულად გაატარონ დაცვითი ღონისძიებები სადაზღვევო კონტრაქტთან შესაბამისად. საპროცენტო რისკის დაზღვევის ძირითადი ამოცანა არის საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებისაგან დაცვა.

სავალუტო რისკები ფინანსური რისკების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა და კომერციული რისკების ნაწილს წარმოადგენს. ფინანსური ურთიერთობის მონაწილენი ძირითადად სავალუტო რისკის ქვეშ არიან. რისკისაგან თავდაცვისათვის გამოყენებული სადაზღვევო მეთოდის არჩევაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები როგორცაა:

1. ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებანი გარიგებისას.
2. გარიგებაში მონაწილე კონტრაგენტების გადახდისუნარიანობა
3. მოქმედი სავალუტო და საკრედიტო-საფინანსო შეზღუდვები მოცემულ ქვეყანაში.
4. საქონლის კონკურენტუნარიანობა
5. სავალუტო კურსის ან საპროცენტო განაკვეთების შეცვლის ალბათობა ბაზარზე.

საინვესტიციო დაზღვევა შეიძლება გავიგოთ როგორც საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტთა ქონებრივი ინტერესების დაცვა გაუფასურების რისკისაგან, დანაკარგისა და კაპიტალდაბანდებების განადგურებისაგან. საინვესტიციო დაზღვევისას ობიექტად გვევლინება კანონმდებლობასთან თანხმობაში მოსული ქონებრივი ინტერესები, რომლებიც დაკავშირებულია დაზღვეულის ზარალთან და წარმოიშვა გაუთვალისწინებელი,

არასასურველი მოვლენების შედეგად, საინვესტიციო ქმედების განხორციელებისას. თავის მხრივ, ზარალის ქვეშ იგულისხმება როგორც სრული ასევე ნაწილობრივი დანაკარგი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. ნაშრომში განხილულია ფინანსური რისკების კონტროლის სხვადასხვა საშუალებები, ახსნილია მათი არსი, საუბარია მათი გამოყენების დადებით და უარყოფით თვისებებზე.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი სრულდება ფინანსური რისკების საბაზრო მაჩვენებლების ანალიზით ეროვნულ სადაზღვევო ბიზნესში. განხილულია არსებული სადაზღვევო ბაზრის სხვადასხვა მაჩვენებლები და ახსნილია დღევანდელი მდგომარეობა დაზღვევის ამ სახეობის მიხედვით. არსებული მონაცემები გამოსახულია სხვადასხვა დიაგრამების მეშვეობით.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში გაანალიზებულია პირველ და მეორე თავში წარმოდგენილი ინფორმაციის პრობლემატიკა და დასახულია გზები ეროვნული სადაზღვევო ბაზრის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად.

წარმოჩენილია კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და მისი აღმოფხვრის გზები. მთლიანი სადაზღვევო ბაზრის პრობლემატიკა დანახულია სხვადასხვა ქრილში, როგორც ზოგადად კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველი ბიზნესგარემოს კუთხით, ასევე ნაშრომის მეორე ნაწილში განხილული ყოველი სადაზღვევო სახეობის გათვალისწინებით.

ნაშრომის არსებულ ნაწილში საუბარია კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნის აუცილებლობაზე და სადაზღვევო ბიზნესის ლიცენზირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. განხილულია საინვესტიციო საქმიანობის ტემპები და მიმზიდველი ბიზნესგარემოს მნიშვნელობა სადაზღვევო ბიზნესის განვითარებისათვის.

ნაშრომში ასახულია პირად დაზღვევასთან დაკავშირებული პრობლემები და სრულყოფის გზები. ეროვნულ ბაზარზე მიმდინარე

სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები პერიოდული მონაცემების მიხედვით, თვალსაჩინოებისათვის გადმოცემულია ცხრილებისა და დიაგრამების სახით. სადაზღვევო ბიზნესის ეს კუთხე განხილულია სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში და გარკვეული სახის ჯაჭვს კრავს სადაზღვევო ბიზნესის ჯანდაცვის პოლიტიკასთან კავშირის წინ წამოწევით.

ბიუჯეტური გადანაწილებების, სამედიცინო დაწესებულებების და ჯანდაცვის კუთხით გატარებული სოციალური პოლიტიკის პრობლემების წარმოჩენა ნაშრომის არსებული ნაწილის ამომავალი წერტილია. განხილულია და წამოყენებულია არსებული პრობლემების გადაწყვეტის ავტორისეული შეხედულებები. განხილულია სამოგზაურო დაზღვევაში არსებული პრობლემების ძირითადი ნაწილი სადაზღვევო პოლისის დონეზე და წამოყენებულია წინადადებები მიზეზ-შედეგობრივი განხილვით.

პირადი დაზღვევის განხილვის შემდეგ, აზრობრივად ხდება გადასვლა ქონების დაზღვევის პრობლემებზე. საუბარია არსებული საზოგადოების მოუმწიფებლობაზე დაბალსიხშირიანი რისკების მიმართ. განხილულია ავტოდაზღვევის, როგორც ქონების დაზღვევის კლასში არსებული ყველაზე გაყიდვადი პროდუქტის პრობლემები და სრულყოფის გზები. საუბარია საშუალო ფენის არსებობის აუცილებლობაზე ამ ტიპის სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვადობისათვის.

ნაშრომში განხილულია პასუხისმგებლობის დაზღვევის პრობლემები და მათი გამოსწორების სხვადასხვა ალტერნატივები ეროვნულ ბაზარზე არსებული შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტის სრულყოფისათვის. მოწოდებულია წინადადებები სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეობების შემოღების აუცილებლობაზე, საუბარია ქვეყნის განვითარების ტემპებზე მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბების შექმნის მიზნით. განხილულია, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელის მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი

პასუხისმგებლობის დაზღვევის აუცილებლობა, ასევე საუბარია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სახეზე სხვადასხვა პროფესიებთან მიმართებაში.

ნაშრომში საუბარია ფინანსური რისკების დაზღვევის პრობლემებზე. განხილულია საფინანსო რისკების დარეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები და ახსნილია საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში ფინანსური რისკების დაზღვევის ტემპები. ყოველივე ამის საფუძველზე წარმოჩენილია სახელმწიფოს როლი არსებული სადაზღვევო პროდუქტის განვითარებაში და აღნიშნულია, რომ ფინანსური რისკების დაზღვევასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, აუცილებელია ფინანსური სისტემის უმაღლეს დონეზე გამართულობა, რაც სახელმწიფოს მხრიდან სწორად გატარებული ფინანსური პოლიტიკიდან გამომდინარე უნდა იქნას მიღწეული. ასევე აუცილებელია მოსახლეობის მხრიდან დიდი სურვილი, გახდნენ იმ მსოფლიო მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ზრუნავს თავის მატერიალური ღირებულებების დაცულობაზე.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაანალიზებულია საზედამხედველო ორგანოს აუცილებლობა და განხილულია არსებული მიზნების მისაღწევად საჭირო ინსტრუმენტების სახეები. გაკეთებულია დასკვნები და მოცემულია წინადადებები, არსებული სადაზღვევო საქმიანობის საზედამხედველო ორგანოს სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. განხილულია, ეროვნული სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობის განვითარების ეტაპები, საუბარია შესაბამისი ეტაპების უპირატესობასა და ნაკლოვანებებზე. გაკეთებულია დასკვნები სახელმწიფოს ზომიერად ჩარევის აუცილებლობაზე და ახსნილია არასწორი ზედამხედველობისას გამოწვეული პრობლემების სიმძიმე ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის განვითარებასთან მიმართებაში.

დასკვნები და წინადადებები

კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

1. საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის ფორმირება - ფუნქციონირება, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია დაიყოს სამ ძირითად ეტაპად: პირველი ეტაპი მოიცავს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 1998 წლამდე პერიოდს, მეორე ეტაპი - 1998 წლიდან 2007 წლამდე, ხოლო მესამე ეტაპი - 2007 წლიდან დღემდე.
2. დაზღვევის სფეროში შეინიშნება სადაზღვევო ბაზრის ათვისების როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მახასიათებლის ზრდის დადებითი ტენდენციები, რომელიც გამოწვეულია იქიდან, რომ სადაზღვევო კომპანიები აუმჯობესებენ როგორც მენეჯმენტს ასევე ახორციელებენ სწორ მარკეტინგულ ღონისძიებებს. იზრდება საზოგადოების სადაზღვევო ბიზნეს - კულტურის დონეც, ეს კი აუცილებელი წინაპირობაა, სადაზღვევო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.
3. სადაზღვევო საქმიანობა, რომელიც სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტზე შემთხვევითი მოვლენების გამო ახდენს მიყენებული ზარალის კომპენსირებას, ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია, თვითონ აღმოჩნდეს გაკოტრების რისკის წინაშე. სადაზღვევო კომპანიის რისკ-მენეჯმენტის მთავარ ინსტრუმენტებს ანდერრაიტერები და აქტუარები წარმოადგენენ. აღნიშნული პროფესიის მქონე კვალიფიციური კადრი საქართველოში დღემდე დეფიციტს წარმოადგენს, რადგანაც უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო აღნიშნული პროფესიის ადამიანების მომზადებას არ ითვალისწინებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში პირველ ეტაპზე შეიქმნას რეგულარული სახის კურსები, რომელებიც ბაზარს მზარდ და განვითარებად კადრებს მიაწვდიან, შესაბამისი ცოდნის გარკვეული დონით. სასურველია თუ მომავალში სადაზღვევო კომპანიებისა თუ სხვა სახის ფინანსური დაწესებულებების მიერ, განათლების სამინისტროსა

და შესაბამისი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყება შესაბამისი სპეციალობების სასწავლო დისციპლინად ჩამოყალიბება და სწავლება, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს სპეციალიზირებული კადრების ფინანსურ ბაზრებზე ჩართვას და შესაბამისი ბიზნესის უკეთესად, გამართულად ფუნქციონირებას.

4. სადაზღვევო ბიზნესის ფუნქციონირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია სადაზღვევო კომპანიის რისკ - მენეჯმენტის ძირითად ინსტრუმენტს - სადაზღვევო პრემიას და მისი გაანგარიშების სწორი მეთოდების შერჩევას. სადაზღვევო პრემიის სიდიდემ უნდა უზრუნველყოს დაზღვეულის ზარალის ანაზღაურება მთლიანად ან ნაწილობრივ, მზღვეველის რეზერვის ფორმირება და მოგების მიღება.
5. სადაზღვევო ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო ზედამხედველობამ სხვადასხვა ეტაპები გაიარა, თითოეული ეტაპი ხასიათდებოდა მკვეთრად გამოხატული ნიშან-თვისებებით, რასაც თან ახლდა მართვის არსებული სისტემების ნაკლოვანებანი თუ უპირატესობანი და დროის კონკრეტულ მომენტში იმ ალტერნატიული გზების ძიება, რაც მართვის შესაბამის ეტაპზე აუცილებლობას წარმოადგენდა ბაზრის ფუნქციონალური დონის ასამაღლებლად.
6. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე პირად დაზღვევას გამორჩეული ადგილი უკავია, განსაკუთრებით ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტს, მრავალი წლის მანძილზე აღინიშნებოდა სადაზღვევო ბაზრის მონომიმართულება ამ კუთხით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა სადაზღვევო თუ სოციალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო არსებული სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვების შემცირება, რის შემდეგაც მზღვეველები იძულებულნი გახდნენ განვითარებინათ სხვა სადაზღვევო პროდუქტები, ყველაფერ ზემოთ

აღნიშნულს თან სდევდა დადებითი და უარყოფითი მოვლენები, რაც სადაზღვევო ბიზნესზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებდა.

7. საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის სიცოცხლის დაზღვევაზე მოთხოვნის დეფიციტი, რაც განპირობებულია ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობითა და დასაქმებულთა დაბალი შემოსავლიანობით.
8. ჯანმრთელობის დაზღვევის პოპულარობის შედარებითი კლების მიუხედავად ბაზარზე დღემდე უმცირესი პროცენტული წილი უჭირავს როგორც სიცოცხლის, ასევე უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სახეობას. განხორციელებულმა სახელმწიფო სოციალურმა თუ სადაზღვევო პროგრამებმა უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის სულ უფრო მეტად უგულვებელყოფა გამოიწვია.

რეკომენდაცია: დაზღვევის ამ სახის განვითარებას აუცილებელ წინაპირობად მაღალი მეწარმეობრივი სადაზღვევო კულტურის არსებობა სჭირდება. აქვე თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორცაა მომხმარებლის დაბალი ზოგადი სადაზღვევო კულტურა და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები, ასევე პროფესიული კვალიფიკაციის, მაღალკვალიფიციური თანამშრომლების და პროფესიული სწავლების სისტემების ნაკლებობა, რომელთა აღმოსაფხვრელად აუცილებელია გატარებულ იქნას შესაბამისი ზომები, რომლებიც ასახვას მოსახლეობის მინიმალურ სადაზღვევო განათლებაში ჰპოვებს. ამასთან, აუცილებელია საზოგადოებაში არსებული ინფორმაციული დეფიციტის აღმოფხვრა, ჩამოყალიბდეს დაზღვევის პროფესიული სწავლების სისტემები, რაც სადაზღვევო სისტემას უფრო ეფექტურს გახდის. სიცოცხლის დაზღვევის როგორც სადაზღვევო პროდუქტის გაყიდვასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით მზღვეველები ამ პროდუქტს მრავალი წლის განმავლობაში ჯანმრთელობის დაზღვევის გარკვეული სახის პაკეტებთან ერთად ჰყიდდნენ.

9. სიცოცხლის დაზღვევა თავისი არსიდან გამომდინარე, გვევლინება რთულად აღსაქმელ პროდუქტად, რაც საბოლოოდ მისი გაყიდვადობის დაბალ ტემპებზე პირდაპირ გავლენას ახდენს. ცალკე, როგორც ასეთი, სიცოცხლის დაზღვევა - სადაზღვევო პროდუქტი, მხოლოდ მაღალი შემოსავლიანობის და ფინანსურად მყარი საზოგადოებისათვის შექმნილი პროდუქტია, საზოგადოებისათვის რომლის მთავარ მიზანსაც არა ყოველდღიური „არსებობისთვის ბრძოლა“, არამედ სამომავლო, შთამომავლობაზე გათვლილი გრძელვადიანი მიზნები წარმოადგენს.
10. პირად დაზღვევას მიეკუთვნება სამოგზაურო დაზღვევა, რომელიც იაფი, მოხერხებული და მისაღებია როგორც მომხმარებლისთვის, ასევე სადაზღვევო კომპანიებისთვისაც. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა პრობლემები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება. პირველი პრობლემა არჩევანის შეზღუდულობაა - მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბაზარზე არსებულ უამრავ კომპანიას გააჩნია სამოგზაურო დაზღვევა, არსებობს მრავალი, თუმცა, ერთმანეთის მსგავსი პრობემები. არსებითად ყველა სადაზღვევო კომპანიის პრობემები პრაქტიკულად ერთნაირია და არაფრით გამორჩეული ერთმანეთისაგან, ამიტომაც კლიენტს უჭირს ერთნაირ პრობემებს შორის არჩევანის გაკეთება, რაც თამამად შეიძლება განვაცხადოთ როგორც ამ სადაზღვევო სახეობის ერთ-ერთი ნაკლი. მეორე პრობლემად აუცილებელია ვახსენოთ თვითონ სახეობის ძალიან დაბალი ზარალიანობის კოეფიციენტი, რის გამოც პრაქტიკულად არ ხდება ანდერრაიტინგის ჩარევა ამ სახეობასთან არსებული რისკების დაანგარიშებისას, მთლიან პორტფელში მისი წილი დაბალია, აზღვევენ პრაქტიკულად ყველა მომხმარებელს, რის გამოც აქტუარული სახით მისი დაანგარიშება იმდენად გამარტივებულია, რომ პრაქტიკულად არ გამოიყენება. მესამე და უმთავრესი პრობლემა რომელიც წარმოიშობა არის გაცრუებული მოლოდინი. ხელშეკრულების მიხედვით არსებობს სხვადასხვა დაფარვის ლიმიტები, თუმცა მიუხედავად ამ ლიმიტებისა

აღსანიშნავია რომ ამ პროდუქტის ქვეპირობად მოიაზრება დღიური ლიმიტი, რაც დაფარვის ლიმიტთან შედარებით შესამჩნევად მცირეა.

რეკომენდაცია: აუცილებელია უფრო მეტად ინტეგრირდეს ანდერრაიტინგი სამოგზაურო დაზღვევაში, ამისათვის უნდა მოხდეს შერჩევითი სახით დაზღვევა, აუცილებელია გაიზარდოს სადაზღვევო პრემია. უნდა მოხდეს შესაბამისი პოლისებში გარკვეული სახის, გამორჩეული ნიშან - თვისებების ჩამატება, რაც მათ სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების პროდუქტებს ერთმანეთისაგან გამოყოფს და გაზრდის საერთო კონკურენციას. აუცილებელია დაზღვეული ზედმიწევნით კარგად გააცნონ შესაბამის პირობებს, რათა შემდეგ თავიდან აცილებულ იქნას პრობლემები. მრავალი პირობა რომელიც ხელშეკრულებაშია გაწერილი უნდა იქნას გადახედილი, შესაძლებელია მათი მოდიფიკაცია, ან არჩევანის საშუალების მინიჭება დაზღვეულზე, რომელიც თავად განაგებს იმ ლიმიტის გადანაწილებას რომელიც პოლისის მიხედვით გააჩნია, უკეთესი პირობების შესათავაზებლად სადაზღვევო კომპანიებს შეძლებისდაგვარად მოუწევთ პრემიის თანხების გაზრდა (ზომიერ ფარგლებში), რაც საბოლოოდ ვიმედოვნებთ დადებით ასახვას ჰპოვებს როგორც მზღვეველზე, ასევე დაზღვეულზეც.

11. სადაზღვევო ბიზნესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პროდუქტად ქონების დაზღვევა გვევლინება. საქართველოში ქონების დაზღვევა დაყოფილია სხვადასხვა ვიწრო ქვესახეობებად, სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა), სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა), მცურავი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა (კორპუსის დაზღვევა), ტვირთების დაზღვევა, კომერციული ქონების დაზღვევა (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა) და პირადი ქონების დაზღვევა (გარდა სატრანსპორტო საშუალებათა).

12. ქონების დაზღვევა საქართველოში საშუალო დონის მოთხოვნით სარგებლობდა წლების განმავლობაში. დაზღვევის ეს სახეობა, უკვე მრავალი წელია სტაბილურად ინარჩუნებს ბაზრის ერთ-ერთი პოპულარული სახეობის სტატუსს, მიუხედავად იმისა რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობასთან კონკურენციაში ამ სახეობის პოპულარობა თვალშისაცემად დაბალია, ის სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოთხოვნი პროდუქტია, მაგრამ ქონების დაზღვევის სახეობა ეროვნული ბაზრისათვის მაინც რჩება შედარებით „ძვირ სიამოვნებად“, რომელიც მეტად სტაბილურ ეკონომიკას და უფრო მაღალშემოსავლიან მომხმარებელს საჭიროებს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ქონების დაზღვევის სახეობა მაქსიმალურად ინარჩუნებს გაყიდვადობას, მისი პოპულარიზაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობად შესაძლოა ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლება მოვიაზროთ.

რეკომენდაცია: შესაძლებელია განხორციელდეს სავალდებულო სახის დაზღვევა, რომელიც გაითვალისწინებს, დაზღვევას გარკვეულ სტიქიურ უბედურებაზე. მიუხედავად ნაკლებრისკიანი გეოგრაფიული მდებარეობისა, თუ დაბალსიხშირიანი რისკების არსებობისა, უახლოესმა წარსულმა ნათლად დაგვანახა სტიქიური უბედურების ძალა. შესაბამისად პრევენციის მიზნით შეიძლება განხორციელდეს მინიმალური სავალდებულო შენატანის დადგენა საერთო სადაზღვევო ფონდში, რომლის ძირითადი მიზანიც სტიქიური უბედურების შედეგად წარმოქმნილი ქონებრივი დანაკარგების ნაწილობრივი ანაზღაურება იქნება.

13. ეროვნულ ბაზარზე ქონების დაზღვევაში აღირიცხება აგრო დაზღვევის მაჩვენებლები. აგრო დაზღვევა საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში შედარებით ახალი სადაზღვევო პროდუქტია, რომელიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ეროვნულ ბაზარზე. თავის მხრივ, აგროდაზღვევა წარმოადგენს უაღრესად სპეციალიზირებულ და კომპლექსურ

ქვეყლასს, რომელიც მოიცავს მოსავლის, პირუტყვის, აკვაკულტურის და სათბურების დაზღვევას. აგროდაზღვევის ძირითადი მიზანი ფერმერების ფინანსური ინტერესების დაცვა და მათი შემოსავლის სტაბილიზაციაა, რათა ფერმერების აქტივობები გრძელდებოდეს შეუწყვეტლივ წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში თუკი ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ხშირ შემთხვევაში მოსავალი ერთადერთია, რაც არსებული ფერმერის სამომავლო შემოსავალს წარმოადგენს და მოსავლის განადგურების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ფერმერები საკმაოდ მძლავრი ფინანსური საფრთხეების წინაშე დგებიან. თუმცა, აქაც არსებობს პრობლემა - ფერმერთა დაბალი შემოსავლიანობა, სადაზღვევო პრემიების გადაუხდელობის რისკი.

14. საქართველოში სადაზღვევო ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის პასუხისმგებლობის დაზღვევის ნებაყოფლობითი ხასიათი, რის გამოც ბაზრის წილი მინიმალურია. აღნიშნულთან დაკავშირებით საზღვარგარეთული გამოცდილების კვლევამ გვიჩვენა, რომ უამრავ ქვეყანაში პასუხისმგებლობის (სატრანსპორტო საშუალებების მფლობელების, დამსაქმებლების, ქირურგების, აუდიტორების, ბუღალტრების და ა.შ.) დაზღვევის სავალდებულო ფორმები არსებობს.

რეკომენდაცია: აუცილებლობად მიგვაჩნია, პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ კანონი მოქმედებდეს საქართველოში არსებულ ყველა ავტომობილზე, მათ შორის იმ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა შემოსვლაც საქართველოში, მხოლოდ გარკვეული პერიოდით ხდება.

რეკომენდაცია: შესაძლებელია ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა მესამე პირის წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევა განხორციელდეს, სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ გარკვეული

სახის ტენდერში გამარჯვებული რომელიმე ერთი ან რამოდენიმე სადაზღვევო კომპანიის მიერ, იმ პერიოდულობით რა დროსაც არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ქვეყნის ტერიტორიაზე დაჰყოფენ. აუცილებელია, არსებული კანონის გატარება მოხდეს სადაზღვევო კომპანიათა გავლით, ანუ მზღვეველებმა შეასრულონ კონკურენტულ ბაზარზე შუამავლის როლი სახელმწიფოსა და შესაბამისი კანონით მოსარგებლეთა შორის, უნდა იყოს შენარჩუნებული კონკურენტული მოდელის სახე, რამეთუ სადაზღვევო ბიზნესის სწორად ფუნქციონირება მხოლოდ თავისუფალ, კონკურენტულ ბაზარზეა შესაძლებელი, იმ სახით რომ, ფუნქციონირების საბოლოო შედეგი ზოგადი კეთილდღეობის ზრდა იყოს.

15. დღეისათვის ეროვნულ ბაზარზე არსებობს ექიმის პასუხისმგებლობის დაზღვევის პროდუქტი, თუმცა მიგვაჩნია რომ აუცილებელია ამ პროდუქტის სავალდებულო სახედ გადაქცევა, მზღვეველებისა და სამედიცინო დაწესებულებების დახმარებით. სწორედ ამ სუბიექტებს შეუძლიათ თითოეული ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას შემთხვევით რისკებისაგან. შესაძლებელია შესაბამისი სქემის განხორციელება გარკვეული პროგრამის მეშვეობით, სადაც სახელმწიფოსა და ექიმს შორის შუამავალ რგოლებად სამედიცინო დაწესებულებები და სადაზღვევო კომპანიები მოგვევლინებინან. სავალდებულოა არსებული პირობები იყოს მისაღები ექიმებისათვის და სადაზღვევო კომპანიებისათვის, რათა ურთიერთობისას ორივე მხარეს გააჩნდეს შესაბამისი მოტივაცია, მათგან პირველს - გადაიხადოს სადაზღვევო პრემია რისკისაგან თავდაცვის მიზნით, ხოლო მეორეს - სრულყოს, გახადოს მეტად სასურველი სადაზღვევო პროდუქტი მეტი კლიენტის მოძიების მიზნით. აუცილებლად მიმაჩნია აღინიშნოს, რომ აქაც, როგორც სხვა ნებისმიერ ურთიერთობაში სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის აუცილებელია ბოლომდე იქნას შენარჩუნებული კონკურენტუნარიანობის ელემენტი, რაც მზღვეველებს

იძულებულს გახდის გაუფრთხილდნენ თავიანთ კლიენტებს როგორც ახალი, სხვა კლიენტების მოძიების, ისე არსებული კლიენტების შენარჩუნების მიზნით. შესაძლებელია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულო სახედ ქცევა სხვა ისეთ პროფესიებთან მიმართებაშიც, სადაც საბოლოო პროდუქტის შექმნა დიდად არის დამოკიდებული რისკის მინიმიზაციაზე.

16. საქართველოს ეროვნულ ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა, პირველ რიგში, ზოგადი სოციალურ - ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე (გარკვეულწილად ამ ყოველივეს თან ერთვის დაძაბული პოლიტიკური გამრეშო, რაც საინვესტიციო საქმიანობის ტემპებს აფერხებდა), ხოლო ამავდროულად არსებული კუთხით ბაზრის სუსტი განვითარების გამო, ყოველთვის ბაზრის უმცირესი წილით იყო წარმოდგენილი. ფინანსური რისკების დაზღვევის პროცენტული წილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 2,2 %-დან 4,3 %-მდე მერყეობს. საკმაოდ მცირე მოზიდული პრემიის თუ არასწორად გათვლილი ზარალიანობის საპროგნოზო კოეფიციენტების გამო, ფინანსური რისკებისაგან დაზღვევა ეროვნულ ბაზარზე სადაზღვევო კომპანიებისათვის წამგებიან სახეობად იქცა.

17. და ბოლოს, კვლევის შედეგად გამოვლინდა ეროვნული სადაზღვევო ბიზნესის განვითარების შემდეგი ხელისშემშლელი ფაქტორები: არაჯანსაღი კონკურენცია და არამიმზიდველი ბიზნესგარემო, ქვეყნის მოსახლეობის უმუშევრობის მაღალი დონე, დასაქმებულთა დაბალი შემოსავლები, ბუნებრივი კატაკლიზმები, არასწორი ფინანსური პოლიტიკა და სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობაში არსებული პრობლემები.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. სადაზღვევო პრემია (14.02.2015);

2. სამოგზაურო დაზღვევის თავისებურებანი საქართველოში (04.07.2015);
3. სადაზღვევო ბიზნესის პრობლემები და სრულყოფის გზები საქართველოში (13.02.2016).

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. სიმონია თ. - სადაზღვევო კომპანიების ზარალიანობის კოეფიციენტების გაანგარიშების თავისებურებები საქართველოში - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N4, 2014. - გვ. 119-122.
2. სიმონია თ. - Особенности медицинского страхования в Грузии - Пятигорск, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ЭКОНОМИКИ, СОЦИОЛОГИИ И ПРАВА“, N3, 2015. - გვ. 81-83.
3. სიმონია თ. ცერცვაძე ა. - დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო სისტემები და საქართველო - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო შრომათა კრებული „მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები“ N3.4. 2015. - გვ. 75-83.

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:

1. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ რომელზეც გაკეთდა მოხსენება თემაზე: „სამოგზაურო დაზღვევა - მიმოხილვა და პრობლემების აღმოფხვრის გზები“ - კონფერენციის მასალების კრებული, 2015. – 52-57 გვ.